სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.129.000.362

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2010 წლის 6 აგვისტო

ქ. ჭიათურა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება (დანართი №1).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 ივნისის №19/5 დადგენილება „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დაცვის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. კაპანაძე

დანართი №1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება

მუხლი 1. განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

1. მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდობასთან მუშაობის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის,

დასაქმების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან – განყოფილებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია:

ა) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება;

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი.

4. სამსახურის უფრისი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის მოსამსახურეთა შორის;

გ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს; მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ე) გამგებელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

5. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების უფროსი.

6. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან.

7. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების ერთ-ერთი მოხელე.

8. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

ბ) მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას;

გ) ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვას;

დ) უმუშევართა რეგისტრაციას, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას;

ე) წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ვ) განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

ზ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მართვას;

თ) მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვას;

ი) მუნიციპალური სპორტული დაწესებულებების მართვას;

კ) წინადადებების შემუშავებას კულტურის, განათლებისა და სპორტის დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ლ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება

სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების ფუნქციებია:

ა) კულტურული, ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობა;

ბ) პროექტების შედგენა;

გ) ექსკურსიებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობა;

დ) საქველმოქმედო და სოციალური აქციების მოწყობა;

ე) ახალგაზრდების დასვენება პატრიოტულ, გამაჯანსაღებელ და სამკურნალო ბანაკებში;

ვ) სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

ზ) მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, სპორტული კომპლექსების მართვა;

მუხლი 5. განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საჯარო მოხელეები

განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საჯარო მოხელეები არიან:

ა) სამსახურის უფროსი;

ბ) მთავარი სპეციალისტი კულტურის საკითხებში;

გ) სპეციალისტი კულტურის საკითხებში;

დ) მთავარი სპეციალისტი განათლების საკითხებში;

ე) მთავარი სპეციალისტი სოციალური და ჯანდაცვის საკითხებში;

ვ) სპეციალისტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან მუშაობის საკითხებში;

ზ) წამყვანი სპეციალისტი ომის ვეტერანებთან და ლტოლვილებთან მუშაობის საკითხებში;

თ) სპეციალისტი ომის ვეტერანებთან და ლტოლვილებთან მუშაობის საკითხებში;

ი) სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი;

კ) წამყვანი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებში;

ლ) სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებში.